წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 26 აგვისტო 1915 წ. № 78

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.


## „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო" 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის" იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო" გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело", Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## პერძო საქალებო 4 კლასიანი სასწავლებელი

**ქნ. ანასტასია ლევანის ასულის ჩერქეზიშვილისა.**

(საანბანო, უმცროსი და უფროსი განყოფილება მოსამზადებელ კლასისა I, II, III, IV კლ.)

**მისაღები გამოცდა იწყება ყველა კლასებში 1 ენკენისთვეს**

1 ენკენისთვეს—რუსულ ენაში ყველა კლასებში
2 ენკენისთვეს—ანგარიში
3 ენკენისთვეს—ისტორია და სამღვთო რჯული
4 ენკენისთვეს—გეოგრაფიასი და ბუნების მეტყველობისა.

**სწავლა იწყება 5 ენკენისთვეს.** (10—1)

## თბილისის ნოტარიუსი
## გ. ლ. მაჭავარიანი
**სურამში ნამყოფი**

ხსნის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ერევნის მოედანზე № 3, ვაჭრების ბანკის შენობაში

## პირველხარისხოვანი სასადილო „კაფე ბორდო"

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჟავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის** 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები". თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

## ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების
### სამუსიკო სკოლა

გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ., ზელნიცკის სახლი. № 4.

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან,**

10—2 ს.-მდე დილით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში

**მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: მ. გ. ანდრონიკოვა-ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა, თ. ს. შაბუროვა; სკრიპკა: მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტრზენგაუზი; ვიოლენჩელი: გ. დ. დილმელოვი; კონტრაბასი: მ. ი. შერმოგი; სიმღერა (სოლო): მ. ა. კოლოტოვისა; თეორიის კლასები: ზ. პ. ფალიაშვილი; ხორო: ზ. ი. ჩხიკვაძე; ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებელი. მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი ე. დ. აბელაშვილისა. მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალი კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა.

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ. ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50 მ., სიმღერა—100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდება ნახევარი წლობით წინდაწინ.

**პარაკლისი გადახდილ იქნება 6 სექტემბერს შუადღის 1 საათზე**

**სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.**

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი"

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

## გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე** მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**ქ. გ ო რ შ ი**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.


# ომის ამბები

## ქურნალ-გაზეთებიდან

**გენერალი ფონ-ბისინგის გადაყენების გამო.**

ფრანგული გაზეთი „Figaro" სწერს: თუ რამ გამოიწვია დაპყრობილი ბელგიის ეხლანდელი გენერალ გუბერნატორის ფონ-ბისინგის „ტახტიდან" ჩამოგდება, ძნელი გამოსაცნობია. შეიძლება ეს სამუდამოთ დაფარული დარჩეს. ეს იმპერატორ ვილჰელმის საიდუმლოა. მართალი ის არის, რომ ფონ-ბისინგი ერთობ ბევრ გენერალსა და მაღალ სამხედრო პირსს ნთქავდა. ასე, მაგალითად, თავის მოკლე ხნის „მეფობის" განმავლობაში ოთხი გენერალი გუბერნატორი „გადაყლაპა". უკანასკნელად დათხოვნილ გენერალ ფონ-რეველს, მუდმივი უსიამოვნება ჰქონდა ფონ-ბისინგთან. თითქმის საჯაროდ, ამ რამდენიმე კვირის წინათ ერთმანეთს შეუტიეს. ფონ-ბისინგი გაბრაზებით ყვიროდა—ჩემი გაკეთებული ყველაფერი კარგი და გზიანია. მოგაგონებ რომ მე ვარ იმპერატორი ვილჰელმის ძველი ადიუტანტიო... რამდენიმე საათით ამის შემდეგ, ფონ-რეველი ბერლინში გაიწვიეს... რამდენიმე ხნის შემდეგ ამას მოყვა ფონ-ბისინგის „ტახტიდან" ჩამოგდება.

**პოლონეთი და ავსტრო-გერმანია.**

გერმანული „ფრანკფორტის გაზეთი" იხილავს პოლონეთის მოწყობის საქმეს, რომლის შესახებ, გაზეთის სიტყვით, გერმანია და ავსტრია ვერ შეთანხმებულან. გერმანიას სურს თურმე აღდგენილ პოლონეთს მეფედ მისცეს პოლონელი პრინცი, ხოლო ავსტრია მოწადინებულია ავსტრიელი რომელიმე დიდი პრინცი აიყვანოს პოლონეთის ტახტზე.

(Figaro).

**გერმანთა ჯარისკაცები ფრონტებზე.**

გენერალი რეპინგტონის ანგარიშით, რომელიც მოთავსებულია ინგლისურ გაზეთ „Times"-ში, გერმანეთს უნდა ჰყავდეს დასავლეთის ფრონტზე 1,250,000 კაცი, რომელსაც უნდა მიემატოს ავსტრო-უნგრეთის ჯარისკაცები. (Matin).

———

ერთ-ერთი ინგლისური გაზეთი სწერს: ჩვენი ძალა დღითი დღე იზრდება. თუ რუსის ჯარებმა უზარალოთ და უხიფათოთ მოასწრეს უკან დაწევა, ზამთარი ისე მოუსწრებს გერმანებს რომ თავიანთი განზრახვა განუხორციელებელი დაურჩებათ და იმედიც გაცრუებული. ორთავე ფრონტის შესახებაო. (Figaro).

**ახალგაზდა ოსმალები სავაჭრო ორგანიზაციებს ქმნის.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტს ზედიზედ სამი სხდომა ჰქონდა. ეს სხდომები მოხმარდა ახალ ღონისძიებათა შემუშავებას, რომელთაც მიზნად აქვს ბულგარებისა და ოსმალების ურთიერთობის განმტკიცება და ბერძენთა ელემენტის ოსმალეთიდან გამოდევნა—შევიწროება.

დაადგინეს: დააარსონ ბულგარ-ოსმალეთ საკომერციო ასოციაცია, როგორც დამატება ბულგარ-ოსმალური კომიტეტისა.

პალესტინის ვაჭრობა ბერძნებს ხელიდან გააგდებინონ.

გამართონ პალესტინაში ოსმალთა საგანგებო სავაჭრო სააგენტოები, რათა ყოველგვარი საქონლის შემოტანა გაზიდვა მხოლოდ მარტო ასოციაციის მაჰმადიან წევრებს შეეძლოთ რომ ამით გასწყვიტონ ყოველგვარი ურთიერთობა ბერძნებთან. (Figaro).

**ბელგიაში.**

ჰოლანდიურ გაზეთის სიტყვით შარლრუაში სანოვაგის სიძვირეს უწესოება გამოუწვევია. მაღაზიები დაულეწნიათ. გერმანელ ჯარისკაცებს თოფი გაუსვრიათ ბრბოს შესაკავებლად. დაჰრილა ორმოცი მანიფესტანტი და მოუკლავთ ათი. ქალაქ მონსში მემაღაროენი გაიფიცნენ. გერმანელი ჯარისკაცები იცავენ მაღაროებს.

**ფონ იაგოვი.**

ბერლინში ხმები დადის, გარეშე საქმეთა სეკრეტარი ფონ-იაგოვი, ახლო მომავალში სამსახურიდან გადაყენებული იქნებაო. ფონ-იაგოვს უსაყვედურებენ, ხეირიანად ვერ აწარმოვა ამერიკა-გერმანიის ნოტაო.

———

გაზეთი „Temps"-ი სწერს: ერთი თვის წინ იყო ხელმოწერილი ხელშეკრულობის ოქმი ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის ხელშეკრულობაა დროებითი ხასიათი ჰქონდა. ბალკანეთის პოლიტიკურ ვითარების გამოცვლამ გამოიწვია ერთგვარი რყევა ბულგარეთისა. საკმარისად არ მიიჩნიეს, რასაც ოსმალეთი უთმობდა ბულგარეთს. მას შემდეგ, რაც ოთხთა შეთანხმებამ მაკედონია შესთავაზა ბულგარეთს, ამ უკანასნელმა ახალი მოთხოვნით მიმართა ოსმალეთს. საქმეში გერმანია ჩაერია და ოსმალეთს ახალ-ახალ დათმობისკენ მოუწოდებდა. მოხდა ხელ-ახალი შეთანხმება, რომელიც შეიცავს არა მარტო ტერიტორიის დათმობას, არამედ სამხედრო დახმარების აღმოჩენასაც ოსმალეთის მხრივ, თუ ვინიცობაა ბულგარეთს ომი აუტყდებოდა რუმინიასთან, სერბიასთან ანუ საბერძნეთთან.

———

სალონიკიდან „Echo de paris"-ის ატყობინებენ: სმირნაში ჩამოვიდნენ გერმანეთის ინჟინრები და მცოდნე ხელოსნები, და შეუდგნენ ქარხნების მოწყობას ყუმბარების დასამზადებლად.

მეტი წილი ადგილობრივ ქარხნებისა და სახელოსნო დაწესებულებისა სამხედრო პირებმა დაიკავეს. გერმანეთიდან ყოველ დღეს რკინის გზით სხვა და სხვა მანქანები ჩამოაქვთ ამ ქარხნებში.

**მარხულობა სამ დღეს.**

მინისტრთა საბჭომ მოისმინა მოხსენება სინოდის ობერ-პროკურორისა, რომელშიაც ნათქვამია, რომ უწმინდეს სინოდს საჭიროდ მიაჩნია სამი დღით მარხვის დაწესება იმ უბედურების გამო, რომელიც სამშობლოს დაატყდაო. მინისტრთა საბჭომ მოიწონა აგრეთვე სამარინის აზრი—რომლითაც მარხულობის განმავლობაში აკრძალული იქნება ყოველ გვარი გასართობები, როგორც წარმოდგენები, სინემატოგრაფები და სხვ.

# შტაბის დეპეშები

**ტფილისი, 24 კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 22 აგვისტოს ზღვის-პირა რაიონში სროლაა- ოლთისის მიმართულებით თავას რაიონში ოსმალებმა რუსების პოზიციებს თოფ-ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ უშედეგოთ. სოფელ ალხიზის და კაპიკანის რაიონში მზვერავთა ბრძოლაა. ვანის რაიონში რუსების მზვერავთა მოქმედება ხელსაყრელ პირობებში წარმოებს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი, 24 აგვ. ოფიციალი. რიგა-დვინის ფრონტზე და დვინის მიმართულებით არსებითად არა მომხდარა. სვენტისა და ვილიის შუა, აგრეთვე ვილიისა და ნემნის შუა მდგომარეობა უცვლელია. შუა ნემანზე მერეჩისა და პესკის რაიონებში 23 აგვ. მთელ ღამის განმავლობაში და მეორე დღეს გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ. ბრძოლა გრძელდება. ნემანიდან სამხრეთით პრიპიატამდე რუსის ლაშქარს წინანდელი პოზიციები უკავიათ. ყველაზე მეტად გერმანელები 23 აგვ. შეეცადნენ ვოლკოვისკის რაიონში რკინისგზის გასწვრივ სედლეცზე და იასელზე ავითარებდნენ შემოტევას, მაგრამ რუსები აჩერებდნენ. მთელ ამ ფრონტის დანარჩენ სივრცეზე მხოლოდ საარიერგარდო შეჯახება ჰხდებოდა. პოლესიეს სამხრეთით გერმანელები მთავარ ძალებს უყრიან თავს ლუცკის რაიონისა და ლუბნო-როვნოზე მიმავალ გზებზე, თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ უცვლელია. კერძო შეტაკების დროს სოფ. კორაბინთან რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 8 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. სერეტზე, მხოლოდ მის ტოტის რაიონში, როგორც გერმანელები, ისე რუსები სცდილობდნენ იერიშით შეტევას, მაგრამ ორთავე მხარის ცდას არსებითი ცვლილება არ მოუტანია. 22 აგვ. აქ რუსებმა 4 ტყვიისმფრქვეველი წამოიღეს და 400 ჯარისკაცი დაატყვევეს.**

# ორი ფსიხოლოგიური ვითარება

გარემოებათა გართულებამ და სახელმწიფოს უშუალო დაცვის მოვალეობამ რუსეთის მთავრობა **პრაქტიკულად** „გაალიბერალა“.

ქრონიკული ნაკლი და საჭიროება რუსეთის იმპერიაში მოქცეული მრავალი ათი მილიონი ხალხისა, და ახალი, სპეციალად ომისგან შექმნილი გასაჭირი და განსაცდელი მთავრობის ძალის ანაბარა დაკმაყოფილებული რომ ვერ იქმნებოდა და რომ, მაშასადამე, უზენაესი საქმე თავდაცვისა ვერ მოგვარდებოდა, თუ-კი მთავრობა ძველებურად გამოყოფილი და მედიდურად განზე განდგომილი დარჩებოდა,—ეს თვალცხადლივი სანახაობა, ომის დაწყებიდანვე თვით მთავრობამ გაითვალისწინება და პირველი შებრძოლების დაჭრილი მსხვერპლები სახელმწიფოს შინაგან ზრუნვის საგნად გადაიქცა თუ არა, მთავრობამ ნება დართო რუსეთის ერობათა და ქალაქებს კავშირები შეედგინათ და ამ კავშირთ ათობით მილიონი ჩამოურიგა ომის სხვა და სხვა სახის მსხვერპლის მოსავლელად. ამ აქტით მთავრობამ საყოველთაოდ სცნო საზოგადოებრივი პრინციპი სახელმწიფო საჭიროების მოგვარების საქმეში, ამ აქტით მთავრობამ შეირიგა კერძო ინიციატივა, ეგ ზომ დევნილი და უარყოფილი წელთა წარსულში. ყველაფერი ეს მოხდა გარემოების ძალდატანებით. სხვაფრივ **შეუძლებელი** იყო და შეუძლებელის წინაშე თვით ძლიერნიც ამა ქვეყნისანი დრკებიან ხოლმე. მას შემდეგ ამ გზით სიარული უფრო „გალეგალდა“ და „გაკანონიერდა“, ისევ ისე გარემოების ძალდატანებით, რასაკვირველია, შეიქმნა მრავალი სხვა და სხვა კომიტეტი, რომელთაგან ყველაზედ უფრო თვალსაჩინოა სამხედრო-სამრეწველო და მეოტი ხალხის მფარველი და დამბინავებელი კომიტეტები, რომელთაც მთავრობა სრულს ნდობას უცხადებს და მილიონობით სავსე ქისას სთავაზობს. სახელმწიფოს დაცვის საქმე ამრიგად საზოგადოების საქმედ, ყოველ კეთილ მამულიშვილის საქმედ გადაიქცა და ხალხისა და კეთილი მამულიშვილის საქმე სახელმწიფო ზრუნვის საქმედ. თითქოს სანუკვარი, პოლიტიკური სამართლიანობის პრინციპი სინამდვილეში გამოითქვაო. მაგრამ ეს მოვლენა განამდვილებული არაა; პროცესი ორ ხელმწიფების,—მთავრობისა და ხალხის ხელმწიფების—დაახლოვებისა დასრულებული როდია; იგი არც განმტკიცებულია; იგი არ არსებობს როგორც სავალდებულო უფლებრივი ნორმა, რომელიც გამოსავალი წერტილი შეიქნებოდეს მომავალი პოლიტურ სოციალი პრაქტიკისა.

ყველა ამას უფრო ტენდენციის სახე აკრავს და რუსეთის ცხოვრების

ყოფის შედეგია.

იგი უსანქციოა, დაუდასტურებელი. სიცოცხლე მისი განსაცდელშია... მაგრამ ეს მომავლის საქმეა

ჩვენც

თავს გავანებებთ სამკითხაო საგანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მას აქეთ, რაც ომი დაიწყო

რუსეთის სინამდვილის გამგედ, მის იდეიურ ბატონად სწორედ ეს **ფსიხოლოგიური ვითარება** გამოდის: საზოგადო ინიციატივის შეწყნარება და სრული ნდობა მისადმი. ყოველი პარტია თუ ფრაქცია ამ იდეის ბატონობას განიცდის. მწიფე პოლიტიკური გონება და საღი მომქმედი ნებისყოფა უნდა ცდილიყო სავსებით და ყოველმხრივად გამოეყენებინა ეს იშვიათი, წუთით ნაშობი ვითარება. რადგანაც ხალხის თვითმოქმედებას და საკუთრივ თავისმოვლას მაღლიდან წყალობის თვალი დასტრიალებს, რადგანაც განკითხვის ჟამს თავის მოვლასა და თვით-პატრონობას რამოდენიმედ მაინც სახელმწიფო ღირებულება მიეცა, ამიტომაც ბრძენ და გამჭრიახ საზოგადო მოღვაწეს მართებდა მაქსიმალური სარგებლობა გამოეწურა შექმნილ სიტუაციისაგან ეროვნული საქმის საკეთილდღეოდ. ამ თვალსაზრისით თუ გავხედეთ ქართულ საქმიანობასა და პრაქტიკულ საზრიანობას, უნდა გამოტეხით ვაღიაროთ, რომ ისეთი უმწიფარი თავი და უმოქმედო ხელი, როგორიც ქართველი ხალხის მოწინავე საზოგადოებას გამობმია, არც ერთ სხვა ხალხის ინტელიგენციას არ დაჰყოლია.

ქართველ მოწინავე საზოგადოებას შეუმჩნეველი დარჩა ის ფსიხოლოგიური ვითარება, რომელიც ომის დროინდელი რუსეთის სინამდვილის წითელი ზოლია და იგი ვერც გამოიყენა.

მეორეს მხრით მთელს საქართველოში, ცალკე საერთო სახელმწიფო მიზეზისა და ცალკე ადგილობრივ ატმოსფერულ მოვლენის წყალობით. შეიქმნა ერთნაირი უნუგეშო მდგომარეობა, ერთნაირი უმწეობა

ასეთი მდგომარეობის ძალით ყოველგან ერთი და იგივე საგანი გახდა საზრუნავი; ეს არის პურის შოვნა, საკვების შემოზიდვა გარეიდან, შინ დარჩენილთა ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. ქალი, ბავშვი, მოხუცი, ახალგაზდა ყველა ძრწის სიმშილის ასრდილის წინაშე და ყველა, მთელი ეროვნული კრებული, შველას დაეძებს და ამ შველას თითქო საქართველოს ძველის-ძველ დედა ქალაქიდან, ქალაქ თბილისიდან მოელის. ყოველი ქართველის არსებაში ძებნაა ეროვნული მზრუნველი ორგანიზაციისა, რომელიც მაიცდამაინც თბილისში უნდა იყოს და რომელიც ქვეყანას გაუძღვებოდეს და სიმშილისგან მაინც გადაარჩენდეს. აი ასეთი ეროვნული გამგე ხელის ძებნა—დღევანდელი საქართველოს დამახასიათებელი **ფსიხოლოგიური ვითარებაა**, რომელსაც ჭკვიანი და საქმის მოყვარე საზოგადო მოღვაწე და შეგნებული მამულიშვილი უთუოდ გამოიყენებდა რომ უფრო განემტკიცებინა ეროვნული ნული ერთობისა და სიმკიდრის საქმე, რომ ერი და ინტელიგენცია ამ პრაქტიკულ საქმეში ერთიმეორეს შედუღებოდა! აი ეს იშვიათი **ფსიხოლოგიური ვითარება**, ეს ერთნაირი და საერთო სულისკვეთება მთელი ერისა,—სულისკვეთება, თუნდაც პრაქტიკული სულთასწრაფვით აღძრული, ქართველ მოწინავე საზოგადოებას შეუმჩნეველი დარჩა და დღემდე ვერ ისარგებლა. ეს ორი დიდი ფსიხოლოგიური ფაქტი, ერთი საერთო სახელმწიფოებრივი და მეორე ადგილობრივი, წმინდა ქართული. უაღრესად საკმარისი პირობაა, რომ დასედულ მამულიშვილს, საღ ინიციატივას და მომქმედ ნებისყოფას შესძლებიყო დიდი ეროვნული **საქმის**, ნამდვილი და სასარგებლო **საქმის** გაკეთება... მაგრამ ჯერ ასე ვერ მოხდა!.. ნეტავი როდის გადალახავს ქართველის ხასიათი, თავის საბედისწერო რუბიკონს, ნეტავი როდის დაეჩვევა სინამდვილის ამოკითხვას ქართველის გონება?!..

ხ. კ—დია.

# უკანასკნელი პასუხი

ბ-ნს ფ. გოგიჩაიშვილს

მოწყალეო ხელმწიფევ!

კიდევ ვიმეორებ: გაზეთის ფურცლებზე ჭუჭყიან სარეცხის გაფენა მეც არ მინდა, რადგან მოვალე ვარ მკითხველიც დავინდო და **სხვაც**.

მირჩევთ: სამედიატორო სამართლის მაგივრად საქმის გადაწყვეტა მივანდოთ პროფესორს ივ. ჯავახიშვილსაო, რომელსაც თქვენსავით მეც ვენდობი და პატივსაც ვსცემ. მაგრამ დავის გადაწყვეტას **მარტო** პატივცემულ პროფესორს ვერ მივანდობ, რადგან—პირველი და უმთავრესი: თქვენ არც კი სცადეთ მცირე გაუგებრობის გათავება პირადად ჩემთან მოლაპარაკებით და საქვეყნოდ ჩემი სახელის შელახვითა და წაბილწვით განიზრახეთ ოდნავ დახლართულ საქმის განმარტება, ე. ი.—კიდევ ვიმეორებ—ჩემი ნათქვამის აზრი დაამახინჯეთ და **საქვეყნოდ, საჯაროდ** უდიდესი შეურაცჰყოფა მომაყენეთ, ამიტომ დავაც **საქვეყნოდ** და **საჯაროდ** უნდა გაირჩეს და გადაწყდეს; მეორე: პატივცემული ივ. ჯავახიშვილი **თავიდანვე** არ დასწრებია „სახ. ფურცლის“ რედაქციაში მომხდარ ლაპარაკს. ამ გარემოებას კი უდიდესი და უპირველესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ფსიხოლოგიურად ჩემი ნათქვამის კილოსი და მიზეზის ახსნა-გაგება შეუძლიან მხოლოდ იმას, ვინც ჩემისა და არ. ჯაჯანაშვილის ლაპარაკს **თავიდანვე** ყურს უგდებდა.

ზემოაღნიშნულ მიზეზებისა გამო ისევ გადაჰრიჭ[illegible] [illegible] დამდგომელსა და საჯარო [illegible] სამართალს.

მ. ადამაშვილი.

P. S. „სახ. ფურც.“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია „ფაქტიური შენიშვნა“ არ. ჯაჯანაშვილისა. მოკლედ უნდა მოვჭრა: ორშაბათ შუადღემდე არ. ჯაჯანაშვილს ჰქონდა უფლება ამ ჭუჭყის ღეჭვისა, ხოლო შუადღის შემდეგ მას ეს უფლება დაეკარგა. საჭირო იყო ერთი ან ორი დღით გაჩუმება. რათა და რის გამო—ეს თვითონაც კარგად იცის.

მ. ად—ლი.

# ახალი ამბავი

**დაჯილდოვება.** დაჯილდოებულ იქმნენ: მეორე ხარისხის წმ. ანნით, (მახვილით) პოლკოვნიკი გიორგი **ფურცელაძე**. მეორე ხარისხის წმ. სტანისლავით (მახვილით) ირაკლი **ფურცელაძე** და ირაკლი **კაჯაძე**.

**ქალაქის მოურავი** ა. ი. ხატისოვი ეჩმიაძინიდან გუშინ, 25 აგვისტოს დაბრუნდა თბილისს.

**წყლის გამოკვლევა.** ქალაქის წყალსადენის წყალი ბაქტერიოლოგიურად გასინჯეს და ხოლერის ვიბრიონები არ აღმოჩენილა შიგ.

**ქალაქის გამგეობის წევრმა.** მ. ა. ჯაბარმა აცნობა თავისს ხელქვეით აგენტებს, რომ ზოგიერთ მეტრაქტირეს და სხვა მოვაჭრეს გამგეობიდან ნებართვა არ აუღიათ ვაჭრობისა, სიაში არ არიან შეტანილი და ისე ვაჭრობენო. თუ რომ ასეთი სავაჭრო სახლების სია არ შეუდგენიათ და კიდევ განაგრძეს იმათ ნება დაურთველად ვაჭრობა, რაც ზარალი მოუვა ქალაქს, თქვენ გაზღვევინებთო. ზოგი აგენტი ხშირად იმით მართლულობს თავს, რომ ზევრი საქმეებისა გამო მოცლა არა მაქვს და ყველაფერს ვერ ვასწრებო. მაგრამო—განაგრძობს ბ-ნი ჯაბარი—ასეთი თავის მართლება არაფის გამოადგება; ვინაც სავსებით ვერ ასრულებს თავისს მოვალეობას, ადგილი უნდა დაცალოს; ისეთები მოიპოვებიან, რომელნიც ყველა თავისს მოვალეობას სავსებით შეასრულებენო.

# მეფე თეიმურაზ I-ის დამოკიდებულება რუსეთთან*)

II

**რუსეთის ელჩების მოსვლა საქართველოში და მფარველობის მიღება.**

აკლებულ, განიორწყალებულ და მიწასთან გასწორებულ სახელმწიფოს პატრონი თეიმურაზი, რომელსაც ამ სამეფოდგან მცირე ნაწილიღა შერჩა ხელში, წყალში დამხრჩვალსავით ხავსს ეჭიდება და ერთხელვე მოლიპულს გზაზედ ფეხმოსხლეტილი, მაინც ხსნის იმედს არა ჰკარგავს და ისევ-ისევ ჩრდილოეთისკენ გაიყურება. მიუხედავად იმისა, რომ 1624 წელს საქართველოს დესპანებს ხაზგასმით უთხრეს, ჯერ-ჯერობით ვერაფერს შეგეწევით და დახმარების იმედი ნუ გაქვთ, რადგანაც საქართველოს გულისათვის რუსეთი სპარსეთის მბრძანებელს ვერ შემოიმწყრალებსო, გარდა ამისა ფულით დახმარებასაც ნუ მოელით, რადგანაც საკუთარი ჩვენი ხაზინაც ცარიელიაო, თეიმურაზი მაინც თავისას არ იშლის. იმის მაგივრად, რომ თეიმურაზი ასეთის გადაჭრილის უარის შემდეგ საკუთარს ძალებს დანდობოდა და საკუთარის ძალღონით შესდგომოდა გაოხრებულის სამეფოს აღდგენა-აყვავებას და აღარავისი იმედი აღარა ჰქონოდა, გარდა საკუთარის ძალღონისა, იგი არა სცხრება და 1635 წელს ახალს ელჩებსა ჰგზავნის რუსეთში. ამ დესპანობას თავში უდგია გამოქნილი ბერძენი ბერი—არქიმანდრიტი ნიკიფორე, რომელმაც არა ერთხელა და ორჯელ გადალახა რუსეთის დაუსრულებელი გზები ამ დესპანობაში. მთავარი სათხოვარი ამ დესპანობისა, რომელმაც 1636 წელს ძლივს მოახწია რუსეთის სატახტო ქალაქს მოსკოვს, ის იყო, რომ მიეღოთ თეიმურაზი რუსეთის მფარველობის ქვეშ და განეახლებინათ ის დამოკიდებულობა, რომელიც დიდის ხნობით არსებობდა რუსეთსა და მის წინაპართა შორის. ემუდარებოდა რუსეთის მპყრობელს თეიმურაზი, ძლვნად მიეღო მთელი ივერია, მთელის მისის მცხოვრებლებით, ტაძრებითა, მათის საგანძურითა და ქონებითა.

უნდა რა დააინტერესოს რუსეთის მთავრობა, თეიმურაზი ჩვეულებრივ ბაქიაობასაც არ იშლის და ამბობს, ქართლიდგან სვიმონ მეფე განვდევნე და იგი ჩემს სამფლობელოს შემოუერთეო. ეხლა ჩემი სამფლობელო ისე უახლოვდება თქვენს ციხე-ქალაქს თერგსაო, რომ მათს შორის მხოლოდ ერთი დიდი მინდორი სძევს, შვიდის დღის სავალიო. განაგრძობს რა ტრაბახს თეიმურაზი, სხვათა შორის ამბობს, რომ ერევანში 47 ათასი სპარსელი გავწყვიტეთ და შაჰი ეხლა თავისს საცოლოდ ქალსა მთხოვსო და ჩემს ვაჟიშვილს კიდევ ურიგებს იმამყული ხანის ქალსაო.

რუსეთის მთავრობამ ეხლა კი შეიწყნარა თეიმურაზის თხოვნა და არქიმანდრიტ ნიკიფორეს თან გამოაყოლა თავისი ელჩები თევდორე ვოლკონსკის მეთაურობით. ეს დესპანობა მრავალ რიცხოვანი იყო და გარდა თვით ვოლკონსკისა, მდივნის ხვოსტოვისა და თარჯიმანის ბორშჩინოვისა და რამდენიმე მწერლისა, შიგ ერივნენ სამღვდელო პირნიც: ბერ-მონაზონი იოსები, მღვდლები ალექსი და გრიგორი.

მთავარი დანიშნულება ამ დესპანობისა ის იყო, რომ თეიმურაზისა და მის სამეფოსათვის რუსეთის ქვეშევრდომობა მიეღებინებინათ, რისთვისაც წესისამებრ უნდა შეეფიცნათ რუსეთის ერთგულებაზედ და საჭირო ხელშეკრულობა შეედგინათ, ხელი მოეწერინებინათ და თან წაეღოთ. სამღვდელოებას კიდევ ჩაბარებული ჰქონდა ეკლესიათა და მონასტერთა მიმოხილვა და მხატვრობის შესწორება და შევსება, რისთვისაც თან გამოტანებული ჰქონდათ საჭირო მასალა, სამღებრო და სხვა.

გამოგზავნილი ამალა მეფე თეიმურაზმა ალავერდის ეკლესიის გალავანში მოწყობილს სამეფო პალატაში მიიღო. მეტად საინტერესოა ამ აუდიენციის აღწერა და აგრეთვე გარეგანი დახასიათება თეიმურაზისა და მის შვილისა ელჩების მიერ.

„ორს სექტემბერს,—ვკითხულობთ აღწერაში,—ერთის ვერსის სიშორეზედ ვიყავით ალავერდიდამ, აქ ალაზნის პირად გაგვაჩერეს და მოგვაცდევინეს. 5 სექტემბერს გამოგვეცხადა არქიმანდრიტი ნიკიფორემ, რათა მეორე დღეს მეფე თეიმურაზთან წავსულიყავით აუდიენციაზედ. ელჩები შესხდნენ ცხენებზედ, წინ აზნაურები მიუძღოდნენ. გალავნის კარებთან ცხენებიდგან ჩამოვხტით. წინ ორი აზნაური წაგვიძღვა მამუკა და ბარაბეგი. მონასტერს ირგვლივ შემოვლებული აქვს ქვითკირის კედელი ორის კოშკით, რომელნიც ჩამონგრეულნი არიან. სამრეკლოზედ ორი პატარა ზარი ჰკიდია. ელჩებს სამღვდელოება გამოეყო და ეკლესიაში შევიდა, ხოლო დანარჩენნი მეფის პალატაში იქმნენ მიღებულნი, რომელნიც გალავნის კარების მარცხნივ არის და ოცი არშინი სიგრძე აქვს და ხუთი არშინი სიგანე. კარის ასავალზედ აზნაურებმა რევაზბეიმ და სხვათა ხელი მოგვკიდეს და ისე მიგვაცილეს კარებამდის, სადაც კიდევ ორი აზნაური გამოგვეგება. შესვლისათანავე მოგვეგებნენ არქიელი ზებედე, წინამძღვარი ამა მონასტრისა და ოთხი ეპისკოპოსი: არსენი, ზაქარია, მათე და კოზმა.

ის ოთახი რომელშიაც ჩვენ შეგვიყვანეს ხალიჩებით იყო მორთული, იქ იჯდა თეიმურაზი და მის მარჯვნივ კიდევ მისი შვილი. ის ადგილი სადაც თეიმურაზი იჯდა აშენებული იყო და ზედ თეთრი ხალიჩა ჰქონდა გადაფარებული, რომელზედაც გამოსახული იყო სხვა და სხვა ცხოველები და მცენარეები. ამ ხალიჩაზედ ბალიში იდო ფარჩა გადაფარებული და ზედ თეიმურაზი იყო ჩამომჯდარი. მეფე შუა ტანისაა 50 წლისა, სახე თეთრი აქვს და დაკენკილი; წვერი შავი, გაკრეჭილ-შეღებილი, თმა გაპარსული, განიერ მხარბეჭიანია და ცოტა მოხრილი; ნაცრის ფერი თვალები აქვს, სუფთად აცვია, ფრჩხილები შეღებილი აქვს. ვაჟიშვილი ოცი წლისა იქნება, მამაზედ უფრო მაღალია, თეთრი და კოხტა, თმა და წვერი გაპარსული აქვს, მხოლოდ თავის შუაგულზედ შენახული აქვს ერთი ბღუჯა გრძელი თმა, ეს თმა და ულვაში წითლად შეღებილი აქვს, თვალები ნაცრის ფერს მიუგავს, სუფთად ჩაცმულია.

მეფის და ბატონიშვილის გვერდით იდგნენ მიტროპოლიტი ნიკიფორე, თავადი რევაზ ბეი და ათი წარჩინებული ქართულად ჩაცმული კუმურული ფაფახებით თმა გაპარსულნი. მარჯვნივ მეფისა ისხდნენ არქიელები. ზებედე ეპისკოპოსს ეცვა შავი მანტია, ფერადი ნაჭრებით (ლენტებით) მორთული, დანარჩენთ კიდევ შალის ტანსაცმელი ეცვათ და ბერძნული მიტრები ეხურათ.

თავადმა ვოლკონსკიმ თეიმურაზს მოკითხვა და სალამი გადასცა რუსეთის თვითმპყრობელისა. თეიმურაზმა გამოჰკითხა სამეფოს ჯანმთელობის და კარგათ ყოფნის ამბავი, დაუმატა რომ თვითონ, მეუღლე მისი და შვილი დავითი და მთელი საქართველო რუსეთის ძლევამოსილს მპყრობელს აბარებენ თავიანთ თავს, საცხოვრებელს და სამფლობელოს, რის ნიშნადაც ხელი გაუწოდა თეიმურაზმა ელჩებს, რომელნიც ემთხვივნენ გამოწვდილს ხელზედ, ხოლო თეიმურაზმა აკოცა მათ თავზედ.

მეორე დღეს ამ აუდიენციისა მოვიდა ორი აზნაური, დიმიტრი და ანდრია და მიგვიწვიეს მეფესთან სადილად. სადილი იმავე ოთახში იყო გამართული, სადაც მეფემ მიგვიღო პირველ დღესა; მეფემ თავისის შვილით, დანარჩენ წარჩინებულთ და სამღვდელოებამ ისევე ადგილები დაიჭირეს, როგორც წინა დღეს. დამსწრეთა რიცხვი ას კაცს აღემატებოდა. სადილის ცდაში ორი საათი გავიდა.

თეიმურაზისა და მისი შვილის წინ გაშალეს ძვირფასი სუფრა, რომელიც გარშემო მწვანე იყო, ხოლო შიგნით ოქრომკედით იყო ნაკერი, ელჩებს წინ გვიშალეს ორი ძვირფასი სპარსული სუფრა, დანარჩენი კიდევ უბრალო ჩითის სუფრები. სადილის წინ თეიმურაზი თითონ სთავაზობდა ელჩებს სასმელებსა და ყალიონს; შუასადილობას თეიმურაზი ადგა და ხელმწიფის სადღეგრძელო წარმოსთქვა; რევაზბეიმ გადმოგვცა, რომ თეიმურაზს სურს, თქვენც გამხიარულდეთო და საწყენათ დარჩება მეფეს თუ თქვენც არ მოილხენთო, მეფეს სურს მთელის თვისის სამეფოთი და ქვეშევრდომებით რუსეთს ეყმოსო და მოწყენილობა ასეთს დროს ელჩების მხრივ საკადრისი არ არისო.

ღვინის ჭურჭელი შესდგებოდა, ორის დიდის დოქისაგან, დიდსავე აზარფეშებისაგან, რომელნიც ძვირფასის იყვნენ მოჭედილნი, ორის შუათანა აზარფეშისაგან და ხუთის ჭიქისაგან; ყველა ეს ჭურჭელი ვერცხლისა იყო. გარდა ამისა იყო კიდევ ოცამდის ბოთლი და ფინჯანი. ყველა ეს ჭურჭელი სასმელით სავსე თეიმურაზის წინ იდგა. სადილზედ საღამომდის ვისხედით. სადილის შემდეგ მოგვიტანეს ხილეულობა საზამთრო, ვაშლი და მსხალი; სადილად კი გვქონდა სხვა და სხვა ნაირად ფლავით შეზავებული ქათმები, ცხვრისა და ძროხის ხორცი და აგრეთვე მწვადი[1]); სამღვდელოებს მიართვეს ფლავი ერბოთი გაკეთებული და ერბო-კვერცხები; ქართველმა სამღვდელოებამა სჭამა, მხოლოდ ჩვენმა კი არა.„[2])

აი ასეთი იყო პირველი აუდიენცია რუსეთის ელჩებისა საქართველოს მეფესთან. თეიმურაზს უკიდურეს პირობებში მოუხდა მათი მიღება. თბილისი, ეს საქართველოს სატახტო ქალაქი იმ ჟამად აღარ ეკუთვნოდა თეიმურაზს, იქ უკვე მაგრად მოეკალთნა სპარსთაგან დაყენებულს თბილისის ხანს, გრემი კიდევ—კახეთის დედაქალაქი ისე აოხრებული და დანგრეული იყო, რომ მტრის თვალს არ ენახებოდა და ამიტომ მეფე იძულებული იყო ალავერდში მიეღო ელჩები, რომელიც უფრო ნაკლებ შებღალული იყო მტერთა მრისხანებისაგან.

ეს იყო პირველი აუდიენცია, რომელზედაც არაფერი მოლაპარაკება არა ყოფილა იმ მთავარ საგანზედ, რომლისათვისაც ელჩები მისულიყვნენ და რომელსაც ისე მოუთმენლად მოელოდა თეიმურაზი. ეს ჩვეულებრივი წვეულება-დარბაზობა იყო, ელჩების პატივსაცემლად გამართული, რომელზედაც მეფე და საქართველოს წარჩინებულნი გაეცნენ ელჩებს.

მოსალაპარაკებლად 18 ენკენისთვეს მიიწვიეს ელჩები იმავე ალავერდის ეკლესიაში, სადაც წირვის მოსმენის შემდეგ დაითხოვა რა მეფემ ეკლესიიდგან ყველანი, თვინიერ ეპისკოპოსის ზებედესი, ეპისკოპოსის ზაქარიასი, მიტროპოლიტ ნიკიფორესი და ბეგიზბეისა შემდეგის სიტყვით მიჰმართა ელჩებს: „რუსეთის ძლევამოსილ მეფეს შევევედრე, მიტროპოლიტ ნიკიფორეს შუამდგომლობით, რათა მიეღე თავისს ქვეშევრდომობისა და მფარველობაში და დავე-

*) იხ. „საქართველო“ № 76.

[1]) რუსულში ნათქვამია: и изъ жаркорꙗ кого къ деревяннымъ прутикамъ привязаннаго.

[2]) Плоди, Истор. обзор. дипломат. снош. გვ. XXXIII.

◆ **გამოქცეული სომხების მდგომარეობა.** ა. ი. ხატისოვის მიერ შეკრებილი ცნობებით, ეჩმიაძინში ამ ჟამად იმყოფება 35.000 გამოქცეული სომეხი. ყოველ მუდამ დღე რამდენიმე ასი კაცი იგზავნება სხვა კუთხეში შესახიზნავად, მაგრამ იმავე დღეს ეჩმიაძინში ახალ-ახალი გამოქცეულები მოდიან, ასე, რომ საზოგადო რიცხვს არა აკლდება-რა. ბ-ნ ხატისოვის სიტყვით, მდგომარეობა ამ გადმოხვეწილთა ყოვლად აუტანელი და გულის შემზარავია. მათთვის არავითარი თავშესაფარი არ არსებობს, ტანთ არ აცვიათ და ფეხთ, არავითარი საგებ-სახურავი არა ქვთ და სხვ. ყოველივე ამის გამო ათასგვარ ავადმყოფობამ იჩინა მათ შორის თავი, განსაკუთრებით კი მუცელამ. ყოველ დღე ავად ხდება 300 კაცი, რომელთა შორის 150 უთუოდ იხოცება. უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში გარდაცვლილა 2,200 კაცი. ბ-ნი ხატისოვი ფიქრობს, მოწოდებით მიმართოს თბილისის საზოგადოებას დახმარებისათვის.

◆ **ხოლერა.** 24 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 4 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი; გარდაიცვალა 3 კაცი. ლაზარეთში იმყოფებოდნენ გუშინ ხოლერიანი 97 და ხოლერის ნიშნებით 18 კაცი.

◆ **გადამდები სენი.** 25 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: შავი სახადიანი 42, საოფლიანი 20, ქუნთრუშიანი 33, ხუნაგიანი 11, ყვავილიანი 1 და მუცელაიანი 3 კაცი.

◆ **დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.** ამ დღეებში თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: ჯინჭარაძე გიორგი ყარამანის ძე, ჯავიშვილი იოსებ ზაქარიას ძე, ოქრომჭედლიშვილი ვასილ ზაქარიას ძე, კიკნაძე გიორგი როსტომის ძე, ნარდყოშვილი მარკოზ რევაზის ძე, სამუშია დათა ხოსოს ძე, აშიტია იასონ ნიკოლოზის ძე, დანელია ნესტორ კოსტანტინეს ძე, იობიძე ლეონტი გაბრიელის ძე, ნინიკაშვილი ზოსიმე ფილიპეს ძე, არციძე შალვა ნიკოლოზის ძე, ვენერია გალაქტიონ ზურაბის ძე, ხუბაშვილი პავლე (გარდაიცვალა), ხელაშვილი სოლომონ გიორგის ძე, ალადაშვილი იოსებ ისაკის ძე, უგულავა ვარლამ ნიკოს ძე, ოქროცვარიძე ზაქარია, ჭილაძე ასლან დათას ძე, თოფურია დგებუაძე პორფირე.

◆ **შუამდგომლობა.** ამ დღეებში მეფის მოადგილეს დასაბუთებულ თხოვნას მიართმევენ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარენი. თხოვნებში დასურათხატებულია საქართველოს ყველა კუთხის უნუგეშო მდგომარეობა, გამოწვეული მოუსავლობისა და ათასგვარ სტიქიურ მოვლენისაგან. ბევრს სოფელში შიმშილობა უკვე დაიწყო, რომელიც სრულიად გაბატონდება 2—3 თვის შემდეგ. ამის მიხედვით შუამდგომლობის აღმძვრელნი სთხოვენ მეფის მოადგილეს შუამდგომლოს უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ გადასდოს საიმპერიო თანხიდან საკმაო ფული თესლის შესაძენად და ხალხის გამოსაკვებად.

◆ **გამხმარი ბოსტნეული.** კავკასიის ჯარების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა დიდძალი გამხმარი ბოსტნეული. ამის შესახებ მიწადმფლობელობისა და მიწადმოქმედების მთავარი რწმუნებული სწერს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ თუ შეგიძლიან ან თქვენ, ანუ რომელიმე ამხანაგობას, ანუ კერძო კაცს დაამზადოთ ხმელი ბოსტნეული, შემატყობინეთ, რამდენს დაამზადებთ და რა ფასებშიო. თუ საჭირო დარჩება, ინსტრუქტორებს მოგაშველებთ, რომელნიც ხელმძღვანელობას გაგიწევსთ ბოსტნეულობის გახმობის დროს.

◆ **მეხილეობის გაუმჯობესება.** როგორც გადმოგვცეს, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს, თბილისის გუბერნიაში მეხილეობის გაუმჯობესების საქმეს მუყაითად მოჰკიდოს ხელი. ამისათვის საზოგადოებამ საგანგებოდ მიიწვია სპეციალისტი—ინსტრუქტორი, რომლის მოქმედების რაიონად ივრის ხეობა არის არჩეული; გარდა ამისა საზოგადოება აპირებს განსაკუთრებით კარგად მოაწყოს მეხილეობის საცდელი ბაღი, რომელიც მაგალითის მაჩვენებელი იქნება არა მარტო საზოგადოების ხელმძღვანელთათვის, არამედ ყველა ახლო-მახლო სოფლებისათვის.

## სამშობლოსადმი

ჰოი სამშობლოვ, შენი შვილები
დღეს უცხო მხარეს ობლად კვდებიან,
მაგრამ შენს სახელს სიკვდილის დროსაც
ლოცვა-კურთხევით ეგებებიან.
ნეტავ თუ ღმერთი მოგწმენდს ტანჯულ ცრემლს,
არ გვეგულები სასო მიხდილი,
ნეტავ თუ ნგრეულ შენს საკურთხეველს
ფერფლით აღადგენს შენ შვილთა სისხლი!

—

შორსა ვარ, მაგრამ ვხედავ, მშობელი
ღამეს ათენებს ხატების წინა,
სევდით ჭაღარა ჰვედრის შემოქმედს
რომ უვნებელი დავბრუნდე შინა.
აგერ, ფიქრები ჩემს ყმაწვილ ცოლსაც
ლანდად მისდევენ, არ ასვენებენ,
სტირის უცრემლოდ, როს ნათესავნი
ჩემს იქ არ ყოფნას გაიხსენებენ.
მაგრამ რა, ეჰა, აჰხთა სიზმარი,
ტყვიით ვეცემი ბრძოლისა ველად,
სამშობლოვ ჩემო, შენსა აჩრდილს ვუხმობ
უკანასკნელ ჟამს ჩემდა საშველად.
მოვედ, მიყურე მგზნებარე თვალში,
მსურს დაგაბარო გულის ნადები,
თუ რას ვგრძნობ გმირი უცხო მხარისა
უცხოდ ასე შორს ობლად რო ვკვდები.
შენ მინუგეშე მშობელი დედა,
ცოლსაც არიდე მოთქმა ტირილი,
მიეც სხვა შვილი და სულ სხვა საქმრო
ცოტა შენთვისაც მებრძოლი შვილი!
ეხლა მშვიდობით... იყავ კურთხეულ...
არ დაივიწყო ჩემი ანდერძი...
ნუგეში ყველას... ნუგეში, დედავ...
ესაა მხოლოდ ჩვენი ხსნის ღერძი...

—

ჰოი, სამშობლოვ, შენი შვილები
დღეს უცხო მხარეს ობლად კვდებიან,
მაგრამ შენს სახელს სიკვდილის დროსაც
ლოცვა-კურთხევით ეგებებიან.
ნეტავ თუ ღმერთი მოგწმენდს ტანჯულ ცრემლს,
არ გვეგულები სასო მიხდილი,
ნეტავ თუ ნგრეულ შენს საკურთხეველს
ფერფლით აღადგენს შენ შვილთა სისხლი!

გ. მეგრელიშვილი.

◆ **„ახალი კლუბის“ საზამთრო თეატრი.** საალმშენებლო განყოფილება გუბერნიის სამმართველოსი ამ დღეებში დაამტკიცებს „ახალი კლუბის“ საზამთრო თეატრის განახლების პროექტს და კლუბის ადმინისტრაციას დიდი ენერგიის გამოჩენა მოუნდება, რომ დაზამთრებამდე მოასწროს მუშაობის დამთავრება.

◆ **სურსათი.** 24 აგვისტოს თბილისში იყო მოტანილი: ფქვილი 6 ვაგონი, ხილი 1 ვაგ., ქონი 1 ვაგ., მადნეული წყალი 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., სოდა 2 ვაგ., ნავთი 9 ვაგ., ახალი თევზი 369 ფუთი., ღვინო 285 ფუთი.

## გერმანია და ზავის პირობები

20 აგვ. რეიხსტაგის სხდომამ მოგვიტანა გერმანიის მთავრობის ოფიციალი განცხადება, თუ სახელდობრ რა ჰსურს მათ. როგორც ვიცით, ვიდრე გერმანო-ავსტრიის კოალიციის მდგომარეობა იყო ძნელი, მთელი წლის განმავლობაში იგი სულ ერთსა და იმავეს ირწმუნებოდა, რომ მას ოდნავაც არ აინტერესებს ქვეყნების დაპყრობა და მიწების შეძენაო. კონტრიბუციაზე ხომ კრინტსაც არა სძრავდა. როდესაც რომელიმე შორეული ორგანო რამეს იტყოდა ამის შესახებ, მაშინვე კანცლერთან დაახლოვებული ორგანოები, როგორც მაგალითად, „Berl. Tag.“, სცდილობდნენ სწრაფად შეენელებინათ აღფრთოვანებულ კალმოსანთა გატაცებანი. მაგრამ დღეს ყოველისფერი შეიცვალა. ჯერ კრებებზე და გაზეთების ფურცლებზე დაიწყეს აგიტაცია ანექსიის შესახებ. ამასთანავე გაიხსენებდნენ გერმანიას, ჩრდილო საფრანგეთის ათი მილიონი მცხოვრებითურთ. სოციალისტთა პროტესტს ცენზურის ბრჭყალები ათრობდა...

20 აგვ. რეიხსტაგში კონტრიბუციის შესახებ ფინანსთა მინისტრი გელფერიხი ლაპარაკობდა, შეძენილ ქვეყნების შესახებ კანცლერმა განაცხადა, რომ იგი ხაზინას უჯდება თვიურად 2 მილიარდ მარკათაო ე. ი. სწორედ იმდენად, რაც 1870—71 წ. დაუჯდა ფრანგ-პრუსიის ომი. „სწორი წყაროების მიხედვით,—სთქვა მინისტრმა; მებრძოლ სახელმწიფოთ ეს ომი უჯდებათ წლიურად ას მილიარდზე მეტი, ანუ ზედმიწევნით რო გამოვიანგარიშოთ, დღეში სამასი მილიონი მარკა.“ აქ მხედველობაში მიღებულია მხოლოდ სახელმწიფოს პირდაპირი ხარჯი და არა კერძო პირთა ზარალი, ორ წლის განმავლობაში ეს შეადგენს 220 მილიარდ მარკას, თუ შემდეგში დღიური ხარჯი უფრო მეტად ის გაიზრდება. აქედან, მინისტრის სიტყვით, 35% იხარჯება გერმანო-ავსორია-ოსმალეთის კოალიციისაგან, ე. ი. 35 მილიარდი მანეთი. რეიხსტაგის დიდი მოწონებით მინისტრმა განაცხადა,—გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა თავის მოწინააღმდეგეს ფიციო,[sic] ამიტომ არ შეგვიძლიან...

ცვი აუარებელ მტერთაგან, რომელიც მოსვენებას არ გვაძლევენ, აგვიკლეს და მიწასთან გაგვასწორეს, ეკლესიანი და მონასტერნი დაგვიქციეს და დაგვირღვიეს. როდესაც მიტროპოლიტი ნიკიფორე გამოვგზავნე დესპანათ, მაშინ ქართლიც მე მეკუთვნოდა და იქა ვცხოვრობდი. მაგრამ სპარსეთის შაჰმა განმდევნა იქიდგან, წამართვა, სამფლობელო და გამომართვა პირმშო ქალიშვილი ჩემი“. გაიხსენა აგრეთვე დედის ქეთევანის წამება და ორის ვაჟიშვილის დასაჭურისება და განაგრძო: ასეთს შეწუხებასა და მწუხარებაში ვიყავით, მაგრამ ღვთის მადლით ნათელი გაგვიბრწყინდა მე, ჩემი შვილი და მთელი ივერია მოხარულნი ვართ, რომ მეფე სრულიად რუსეთისა სურვილს გამოსთქვამს ჩვენის ქვეშევრდომად მიღებაზედ. რუსეთის მბრძანებელი მწერს, რომ ჩემი ელჩები გადმოგვცემენ რა პირობით იქნებით მიღებულიო და რა ნაირს დახმარებასა და შველას გაგიწევთ რუსეთიო. ელჩები უპასუხებენ, რომ რუსეთის ბრძანებელმა ყურად იღო რა გაჭირვება და თხოვნა ქართველთა, აღუთქვა მფარველობის ქვეშე მიღება თეიმურაზის სამეფოსი და ყურად იღებს დაიცვას თეიმურაზის სამფლობელო მტერთა შემოსევააკლებისაგან და უზრუნველ ჰყოფს მისს კეთილდღეობასა და სიმშვიდეს. ყველა ამისათვის საჭიროა თეიმურაზმა, თავისის შვილით დავითით და წარჩინებულებით ფიცი მიიღონ რუსეთის ერთგულებაზედ, პირობა დასდონ, რომ უკუნითი-უკუნისამდე რუსეთს აღარ გადაუდგებიან, სხვათა არ ეყმებიან და რომ ყველა ამის შესახებ საჭიროა ხელშეკრულობის დადება, რომელზედაც ხელი უნდა მოაწერონ მეფემა, ბატონიშვილმა, სამეფოს წარჩინებულთა და დაადასტურონ საკუთარის ბეჭდის დასმით.

თეიმურაზმა განუცხადა, რომ თუმცა მეფე, ბატონიშვილი და მთელი მისი ქვეშევრდომნი მოხარულნი არიან რუსეთის ქვეშევრდომად მიღებაზედ, მაგრამ მაინც ითხოვდა დროს მოსაფიქრებლად.

ამით გათავდა ჯერ-ჯერობით პირველი მოლაპარაკება რუსეთის ელჩებთან, მთელი რვა თვე მოუხდათ კიდევ ელჩებს ცდა და ლოდინი ვიდრე რამე პასუხს მიიღებდნენ თეიმურაზისაგან.

რითი აიხსნება, რომ თეიმურაზი, რომელიც ცის მანანასავით მოელოდა რუსეთის ქვეშევრდომათ მიღებას ასე აჭიანურებს საქმეს. ეჭვი არ არის, საქართველოს წარჩინებულთა შორის არა ერთი და ორი მოიპოვებოდა, რომელთაც რუსეთთან შეერთება არა სასურველად მიაჩნდათ. თუ ერეკლე მეფის დროს, როცა ეს საკითხი საკმაოდ მომწიფებული იყო, მოიპოვებოდნენ რუსეთთან შეერთების წინააღმდეგნი, რასაკვირველი, იმ პირველ ხანებში, როცა ეს იდეა ისახებოდა, საკმარისი რიცხვი იქნებოდა ამგვართა და მეფეც სწორედ ამის გამო იგვიანებს. მიზეზად ხან არაგვის ერისთავის აჯანყებას იგონებს, ხან თბილისის ხანზედ გადამტერებას. მაგრამ ეჭვი არ არის, იმ დროს ბევრი იდეური მოწინააღმდეგენი მოიძებნებოდნენ, რომელთათვისაც არ შეიძლებოდა მეფეს ანგარიში არ გაეწია.

მეფეს მაშინ მხარს აძლევდა და საშინელს აგიტაციას ეწეოდა რუსეთს სასარგებლოდ მიტროპოლიტი ნიკიფორე და მეფე თათბირზედ პირდაპირ აცხადებს; „მე თქვენ გავალებთ მიიღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა, შეჰფიცეთ ერთგულება და ჯვარს ემთხვიევით, მაშინ რუსეთის ბრძანებელს ეცოდინება, რომ თქვენ სრულიად მას ეკუთვნით და, რასაკვირველია, იზრუნავს თქვენთვის და დაგიცავთ მტერთაგან“.[3]) წინააღმდეგ შემთხვევაში ნიკიფორე უარს ამბობს რუსეთში ხელმეორედ გამგზავრებაზედ, რასაც დაჟინებით მოითხოვენ მისგან მეფე და წარჩინებულნი.

ჭირში და ვაებაში გამოჭედილნი ქართველთა წარჩინებულნი უფრო ღრმად უცქერიან საკითხს და უნდათ წინდაწინვე გარანტია იმისი, რომ რუსეთი სიტყვიერს კი არა, არამედ ფაქტიურს დახმარებას გაუწევს საქართველოს, ამიტომ სთხოვენ ნიკიფორეს ხელმეორედ წავიდეს ელჩებთან ერთად რუსეთში, რათა ჯეროვანი გარანტია—თავდები გამოსთხოვოს, თორემ ცარიელა სიტყვიერი ქვეშევრდომობის მიღება მაშინდელს აწეწილს დროში რა თავში საცემად უნდოდათ ქართველებს! ცარიელა სიტყვიერი ქვეშევრდომობა უფრო გააბრაზებდა და ყალყზე დააყენებდა საქართველოს მეზობლებს და უფრო გაართულებდა ისედაც გართულებულს და აწეწილ-დაწეწილს საქართველოს საქმეებს. ასეთს გარანტიას ვერც ელჩები და ვერც ნიკიფორე ვერ უსახელებენ. ამ უკანასკნელს, როცა წარჩინებულნი პირდაპირ უყენებენ საკითხს, თუ მივიღებთ ქვეშევრდომობას შენ იქნები თავდები, რომ ყოველივე ჩვენი კანონიერი თხოვნა როგორც ქვეშევრდომისა აღსრულებული იქნებაო, ცივს უარს ამბობს.

ამიტომ თეიმურაზი სრულის რვა თვის შემდეგაც, 14 აპრილს, მოიწვევს რა ელჩებს მოსალაპარაკებლად, პირდაპირ უყენებს საკითხს, ძალუძს თუ არა რუსეთს მტერთაგან დაცვა საქართველოსი, შეუძლიან უზრუნველ ჰყოს მათ შემოსევააკლებისაგან და სრული სიმშვიდე დაამკვიდროს ჩემს სამეფოშიო.

მეტის-მეტის ცდისაგან გაჯერებულმა და ნიათ გამოლეულმა რუსეთის ელჩებმა პასუხად მოახსენეს, რომ უკეთუ მეფე ფიცს მიიღებს რუსეთის ქვეშევრდომობაზე და ერთგულობას შეჰფიცავს, რუსეთის მფლობელი მაშინვე შეატყობინებს შაჰს, რომ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობისა და მფარველობის ქვეშ იმყოფება და შაჰიც მაშინვე ჩამოეხსნება საქართველოს, რადგანაც რუსეთთან დიდი მეგობრული განწყობილება აქვსო; რაც შეეხება ლეკებსაო, ისინი იმიტომ არ აძლევენ მოსვენებას საქართველოს, რადგანაც ქართველები არ იყვნენ რუსეთის მფარველობის ქვეშ და რა წამშიაც გაიგებენ საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას, იმ წამსვე თავს დაანებებენ თქვენს მიწა-წყალს და აღარ გაიწაწანებენ.

18 აპრილს თეიმურაზი ნიკიფორეს ხელით უგზავნის ელჩებს ხელშეკრულობის პირობებს, რომლითაც თეიმურაზს სურდა რუსეთის მფარველობის მიღება. საუბედუროდ ვერსად ვერ ვპოვებთ ვერც ერთს დღემდის გამოქვეყნებულს ისტორიულს წყაროებში, თუ რას შეიცავდა ეს ხელშეკრულობის პირობანი, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ რუსეთის ელჩებმა ცივი უარი განაცხადეს მის მიღებაზე და შეუთვალეს, რომ თეიმურაზმა და მისმა ქვეშევრდომებმა ფიცი და ხელშეკრულობა იმ წესითა და რიგით უნდა მიიღონ, როგორც ეს ჩაბარებული აქვთ ელჩებს რუსეთის მთავრობისაგან.

თეიმურაზი იძულებული იყო კარგა ყოყმანის შემდეგ დათანხმებულიყო ელჩების მოთხოვნილებას. რამდენიმე დღის შემდეგ ელჩებისაგან წარგენილს ხელშეკრულობას აწერენ ხელს მეფე, ბატონიშვილი და წარჩინებულნი სამეფოსანი, აგრეთვე ეპისკოპოზი რუსთავისა, რომელიც მეფის გვერდით აწერს ხელს ხელშეკრულობას. ხელისმოწერის შემდეგ ყველამ თავ-თავისი ბეჭდის დასმით დაადასტურა ხელშეკრულობა. შემდეგ ხელშეკრულობა ჯვარის ქვეშ ამოსდეს და მეფემ ფიცი მიიღო რუსეთის ბმრძანებელის მიხეილ თევდორის ძის და მისის ბატონიშვილის ალექსი მიხეილის ძის ერთგულებრივ და ქვეშევრდომობაზედ, თავისსა,ბატონიშვილისა, წარჩინებულთა და სრულიად თავისს სამფლობელოს მაგიერ, რომლის ძალითაც მეფე, მისი ძე შთამომავლობა და სრულიად ივერია უკუნითი-უკუნისამდე ქვეშევრდომები ხდებოდნენ რუსეთისა, რომელიც თავისს მხრივ მოვალე იყო დაეცვა ივერია მტერთაგან, ნივთიერი დახმარება აღმოეჩინა გაჭირვების დროს და არასდროს არ ემტყუნა და უპატრონოდ არ დაეტოვებინა საქართველო. ფიცის მიღების შემდეგ თეიმურაზმა გამოიღო ჯვრის ქვეშიდამ ხელშეკრულობა და გადასცა ელჩებს, მაგრამ ელჩებმა უარი განაცხადეს მიღებაზედ და მოახსენეს ვიდრე მეფის თეიმურაზის გარდა, ბატონიშვილიც და წარჩინებულნიც არ მიიღებენ ფიცსა და ჯვარს არ ემთხვევიან, საეჭვოდა სთვლიან ხელშეკრულობის სიმტკიცეს. ამაოდ უმტკიცებდა თეიმურაზი, რომ იმან ყველას მაგიერად მიიღო ფიცი, რომ მისის ფიცის მიღებით მთელი ივერია ეყმო რუსეთის ბრძანებელს, მაგრამ ელჩები ულმობელნი იყვნენ, ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ თავისას და ცივს უარს აცხადებდნენ ხელშეკრულობის მიღებაზედ. რომ ვერაფერი გააწყო თეიმურაზმა ელჩებთან, დრო სთხოვა მოსაფიქრებლად.

25 აპრილს ნიკიფორემ მეფის ჩაბარებით დაუბრუნა ხელშეკრულობა და მოახსენა ელჩებს, რომ ბატონიშვილმაც და წარჩინებულთაც ფიცი მიიღესო, მაგრამ ელჩები ულმობელნი იყვნენ:—ჩვენ ვნახეთ, რომ ყველამ ხელი მოაწერა, მაგრამ ის კი არ გვინახავს თუ როგორ მიიღეს ფიციო, ამიტომ არ შეგვიძლიან მაგვარ ხელშეკრულობის მიღებით, ვინაიდგან დანამდვილებით ვუწყით, რომ ბატონიშვილი დავითი მამასთან კარგს განწყობილებაში არ არის და ადვილად შესაძლებელია მაგვარ ხელშეკრულობიდგან არსებითი არაფერი გამოვიდესო და პირიქით ბევრი არასასურველი შედეგი მოჰყვესო. რამდენიმე დღის შემდეგ ელჩების მოთხოვნილება შესრულებულ იქნა.

ეჭვი არ არის, რომ თეიმურაზსა და წარჩინებულთ არც ეგრე სასურველად მიაჩნდათ ამ მეტად მნიშვნელოვანის აქტზედ ფიცის მიღება. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, საქართველო ხელშეკრულობას სდებდა ჩრდილოეთის ისეთს სამეფოსთან, რომელიც იმდენად იყო მასზედ დაშორეული, რომ ვიდრე ის მოეშველებოდა მტერთ ცხრაჯერ ბდღვირს ადენდა კაკალს დაანტვრევდა თავზედ. საქართველო კიდევ კუნძულს წარმოადგენდა მაშინ, აუარებელ მტერთა შორის ჩავარდნილს, რომელნიც ამ ამბის გაგონებით მოსვენებას აღარ მისცემდნენ და უაღრესად გადამტერებოდნენ. მეფემა და წარჩინებულთ უკვე მწარე გამოცდილებით იცოდნენ ერთხელ რა ძვირად დაუჯდათ და რა უბედურება დაატყდა სასიკვდილოდ განწირულს საქართველოს ამიტომ არიან ყოყმანში თეიმურაზი და წარჩინებულნი, რომელთაცა სურთ უფრო საიდუმლოებით იყვეს მოცული ყოველივე, ვიდრე სასურველს დახმარებას არ მიიღებენ და ზურგი გამაგრებული არ ექნებათ. მეფე და წარჩინებულნი დარწმუნებულნი რომ ყოფილიყვნენ იმაში, რასაც ელჩები ჰპირდებოდნენ, რასაკვირველია მაშინ სხვა ადგილი ექნებოდა ყოყმანს, მაგრამ მაგარიც ის არის რომ დანამდვილებით არ იყვნენ დარწმუნებულნი, თორემ ამდენს ხანსაც არ გააჩერებდნენ საქართველოში.

უკან გაბრუნებულს რუსეთის ელჩებს თეიმურაზმა თან გაატანა ცნობილი ნიკიფორე, ეხლა უკვე მიტროპოლიტი, თან გაატანა თხოვნა რუსეთის მეფისადმი. თეიმურაზი ითხოვს, რომ უსათუოდ გამოუგზავნოს რუსეთის მეფემ საკმარისი ჯარი ერთ-ერთის თავადის სარდლობით ლეკთა ძლიერების შესამუსრავად. ერთის მხრივ რუსის

[3]) იხ. Переписка грузинскихъ Царей съ Россійкими Госуд. გვ. 15.

დეგეებიდან მოითხოვოს მთელი ეს ჯამი როგორც ზავის პირობებით; „მილიარდთა ტყვიის სიმძიმე მათ დაიმსახურეს, მათ უნდა გადაიტანონ მომავალში მთელი ეს სიმძიმე და არა ჩვენ“. აქ გაისმა მოწონების ხმა „ვა'მა!“,—როგორც იმ სიტყვის დროს, როდესაც კანცლერმა სთქვა: „ძლიერი ლაშქარი კიდევ თავისუფალი გვყავს ახალ-ახალ საკითხთა გადასაჭრელად“.

მეორე დღეს ყველა პარტიათა ორგანოები მხარს უჭერდნენ გელფერიხის განცხადებას. მომეტებული ნაწილი აღფრთოვანებით ეგებებოდა, თვით პარლამენტშიც კი კონტრიბუციის მოთხოვნას სისრულით შეეგებნენ. ერთმა ორგანომ რუსეთის ტყვეებზეც კი მიუთითა, სწორ ექსპლოატაციით შეიძლება ას მილიონიანი სამხედრო ხარჯები დავფაროთო. თუ დღეს არას იძლევა, მხოლოდ იმიტომ, რომ არა რაციონალია მისი მოხმარებაო. რამდენადაც შეიძლება საზოგადო დასკვნა გამოვიტანოთ გერმანულ პრესისაგან, ჩვენ დავინახეთ, რომ მათ სურთ კონტრიბუციის ნაწილ-ნაწილად გადახდევინებაო...

კანცლერმა დაპყრობილ ქვეყნების ანექსიაზეც ილაპარაკა. მეტად ნათლად და გარკვევით აღნიშნა მხოლოდ პოლონეთი, რომელიც უნდა გადავიდეს ავსტრო-გერმანელთა „მმართველობის ქვეშ“. დანარჩენთა შესახებ კი მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ჩვენ ისეთი პირობები უნდა შევქნათო, რომ „გერმანია ხანგრძლივ უზრუნველყოფილი ყოს მტერთა შემოსევისაგანაო. ამის გარდა ჟურნალ-გაზეთები მოითხოვენ ბალტიის მხარისა და კოვნოს გუბერნიების შემოერთებას. ესაა მათი მინიმუმი მოთხოვნილება. მინიმუმადვე ითვლება ფინლიანდიის ჩამოშორება და ოსმალეთის დასაჩუქრება კავკასიაში ანუ შუა აზიაში. ამასთანავე მოითხოვენ ოსმალეთ-სპარსეთის დაახლოვებას გერმანო-ავსტრიელთა მზგავსად და „ისლამის ქვეყნებისა“ და „ცენტრალ ევროპის“ ვიწრო პოლიტიკურ და ეკონომიურს კავშირის შეკვრას. რაც შეეხება მაქსიმუმ მოთხოვნილებას... გერმანელები სორბახის პირით მოითხოვენ უკრაინის განთავისუფლებას ხარკოვითურთ, ლიტვისა... ავსტრიის პარლამენტოფერი სწერს ბერლინის გაზეთებში, რომ ომის გათავება შეუძლებელია, ვიდრე რუსეთს მთლად არ ჩამოვაცლით დონის ბასეინს, ოდესას და მთელს სამხრეთის მოსავლიან ველებს, ვინაიდან შემდეგში რუსეთი მაინც წამოიწევს, წელში გასწორდება და ერთიანად გაგვსრესავს ყველასაო. ვოლფი, „ბერლ.ტაგ“ ხელმძღვანელი სწერს მოწინავე წერილში, რომ უკვე „აზიაში რუსთა განდევნის დასაწყისია ამ ჟამადაო“. ბელგიის ანექსიის წინააღმდეგია იგი. თვითონ იაპერატორმა ვილჰელმმა ხოლმის აღების შემდეგ თავისი ელჩის პირით განაცხადა ვენაში, რომ მადლობას უცხადებს იმ პირთ, ვინც მიულოცეს გამარჯვება და უსურვეს მალე კიევშიც შესვლაო.

ამნაირად, ამ ერთი წლის წინად გამოქვეყნებული ამბავი, ვითომც გერმანია თავდასაცველად იბრძოდესო, ეხლა ყველას მიერ მივიწყებულია. ამიტომ ესაა გასაკვირალი, თუ 20 აგვისტოს სხდომის დროს ათ მილიარდ მარკის აღების გამო სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა დავიდმა სთქვა: „მართალია, ჩვენ ვეწინააღმდეგებით უცხო ქვეყნების შემოერთებას, მაგრამ რაკიდა ჩვენს მტრებს არა სურთ ზავი, ჩვენც იმის მე-ტის ყოფილი თავმჯდომარე პერნერსტი არა დაგვრჩენია რა, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთ“, უმრავლესობის პოზიცია დავიდთან ერთად დარჩა და ამ სესხს ერთსულოვნად მისცა ხმა... (რ. ვ.)

---

მხედრობა და მეორეს მხრივ ქართველების ჯარი, რომ მიადგება ლეკებს, მაშინ ადვილად შესაძლებელი იქნება მათი გაწყვეტა და დამორჩილება, თორემ ლეკები შაჰაბაზზედ უფრო უარესად ანიავებენ საქართველოს და ჰბილწავენ წმინდა ტაძართ. მათგან მოსვენება არა აქვს საქართველოს და ვიდრე ისინი არ იქნებიან დამორჩილებულნი საქართველოს მოსვენებაც შეუძლებელია. გარდა ამისა თეიმურაზი თხოულობს განახლებულ იქმნეს ის ციხე-ქალაქი, რომელიც ალექსანდრე კახეთის მეფის დროს არსებობდაო, ე. ი. ციხე თერგი და თუ ეს მოსახერხებელი და შესაძლებელი არ არის. მაშინ აქ კახეთის ახლოს მთებში სადაც ჩვენ გიჩვენებთ, მიუდგომელს ალაგას ააშენე ციხე ქალაქი, რომელნიც ერთის მხრივ ლეკთა თარეშობას აღვირს ამოსდებს და მეორეს მხრივ ოსმალთა და სპარსთა შემოსევის დროს თავს შეაფარებინებს ჩვენს ჯარებს დედოფლებს, ბატონიშვილებს, წარჩინებულთა ცოლშვილს, განძეულობას და ხაზინას. აქ ციხე-ქალაქში დაბანაკებული ძლიერი თქვენი მეციხოვნენი დაიცავენ მათ მტერთაგან. ეს არის მთავარი თხოვნა თეიმურაზისა, თავის გრამოტაში რამდენიმე ადგილას დაბეჯითებით იმეორებს და სთხოვს უმთავრესად ამ ორის თხოვნის ასრულებას. [4])

მაგრამ იმედი არ გამართლდა. რუსეთმა თეიმურაზს არც ჯარები გამოუგზავნა და არც ციხე-ქალაქის აშენება სცნო შესაძლებლად შორეულის გზებისა გამო. მხოლოდ სანუგეშოდ 20,000 ჰოლანდიური ეფამკები [5]) გამოუგზავნა და 2,220 მან. ღირებული ბეწვეულობა მეფისა, ბატონიშვილთა და დედოფლისთვის საჩუქრებად. აი ამ ნაირის პასუხით და საჩუქრებით უკან გამოისტუმრეს მიტროპოლიტი ნიკიფორე და თან გამოაყოლეს ელჩები მიშეცსკი და კლიუჩამოვი.

ამ ნაირად დამთავრდა ის დაპირება, რომლითაც დიდ ქათინაურებსა ჰპირდებოდნენ თეიმურაზს ელჩები, თუ უკეთუ ფიცს მიიღებდა რუსეთის ქვეშევრდომობაზედ. თეიმურაზს არც ერთი მსგავსი თხოვნა არ აუსრულდა, არც ჯარები გამოუგზავნეს და არც ციხე-ქალაქის აშენება სცნეს შესაძლებლად. ამ რიგად იოტის ოდნათაც მაინც არის არ შემსუბუქდა მისი აუტანელი მდგომარეობა, მისი გაცამტვერებული სამეფო, რომელსაც დიდის ხნით დასვენებას საჭიროებდა და ლაჟვარდს იმედებს რუსეთის დახმარებაზედ ამყარებდა გაჰქრა და მიიჩქმალა. კვალად შავი ზეწარი და მოქუშული ტატნობი ცისა დასცქეროდა თეიმურაზის სამფლობელოს და არსით ერთი ბეწვა ნაპერწკალი, ერთი ბეწვა მკრთალი იმედი, რომელიც შამდეგში შესაძლებელი ყოფილიყო გუგუნა ცეცხლად გადაქცეულიყო, არსით არა სჩანდა. წყვდიადს, გაუვალს წყვდიადს მოეცვა ყოველივე, მაგრამ თეიმურაზი რის თეიმურაზი იყო, რომ რუსეთის ამ ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ, რომელიც ცარიელა სიტყვების დაპირებას შეიცავდა, საკუთარს ძალღონესლა დაემყარებდა. თეიმურაზს ვერ შეუგნია, ვერ მიმხვდარა, რომ რუსეთი თითონაც გაჭირვებას განიცდიდა და ბევრიც რომ ნდომოდა იმ ჟამად ვერ დაეხმარებოდა საქართველოს. ვერ დარწმუნებულა, არ ისვენებს და ხელმეორედა ჰგზავნის მიტროპოლიტ ნიკიფორეს რუსეთში და როცა ამ დესპანობიდამაც არაფერი გამოვა, მაშინ თითონ იყურება კახეთიდამ და თავისის ფეხით ეახლება რუსეთის ბრწყინვალე მოსაყდრეს.

(შემდეგი იქნება)

ედილი.

---

[4]) იხ. Переписка грузинскихъ царей съ Росiйск. госуд. გვ. 21.

---

## ჩვენი ცხოვრება

**ქ. გორი.** დიდი ხანი არაა, რაც ტელეფონი შემოიღეს. მეტ წილად აფთიაქსა და ლაზარეთებსა, ბანკსა თუ სხვა რამ საზოგადო დაწესებულებაში აქვთ გაყვანილი. საუბედუროდ ტელეფონით აქ საჭიროების მიხედვით მცხოვრებნი ისე ვერ სარგებლობენ, როგორც აფთიაქების ახალგაზდა მსახურები, რომელნიც თვის თავისუფალ დროს უქმად არ ატარებენ და ერთის ამბით ართობენ ლაზარეთში მყოფ მოწყალების დებს; მუსაიფობენ ტელეფონით, არშიყობენ, ლაპარაკობენ სხვა პირების მაგიერ და ამით იწვევენ ურიერთ-შორის ქიშპობას, რაიც ხშირად ჩხუბით იწყება და ჩხუბითვე თავდება. ლაპარაკობენ ისეთი უწმაწური ენით, რომ ქუჩის ბიჭებისგანაც-კი ძნელად გაიგონებთ; უნიშნავენ პაემანს იმ პირთ, რომელნიც მათთვის სრულიად უცნობნი არიან. ყველა ეს ხდება ღამის 12 საათიდან გათენებამდის. აი, მაგალითად, ერთი დამახასიათებელი სცენა, რის მზგავსი ხშირია გორელთა შორის: საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც გამოვიარე და შევხვდი ერთს აურზაურს, სადაც გაჩერებულიყვნენ ბ. შე—ს აფთიაქის მსახურნი და სამი ახალგაზდა მოსწავლე, რომელთაც თან ახლდათ ერთი ქალიც; მინდოდა გამეგო, თუ რას გამოეწვია ეს ხმაურობა. ერთ მათგანს ვკითხე მიზეზი, მან შემდეგი მიამბო: „ბ. შე—ს აფთიაქის მსახურს გა—ნიას გართობად მიაჩნია ის, რომ მისთვის სრულიად უცნობ მოწყალების დებს ელაპარაკება ჩემი სახელით, უკითხავს საარშიყო ლექსებს ტელეფონით და სხვა უგვანო სიტყვებს“.

ვგონებ დროა ამ უზნეო ჩვეულებას მალე მიაქციონ ყურადღება ბ. მეთაურებმა და რაც შეიძლება დროით მოსპონ ეს უზნეობა, რომელიც მხოლოდ გარყვნილების ნიადაგზედ აყენებს მათ.

მოუსვენარი.

---

## რედაქციის შენიშვნა.

საქართველოს მე-63-ში მოთავსებული გვქონდა ბ-ნი Cardinal-ის წერილი: „ეს ლა გვაკლია“.

ამ წერილში აღნუსხული ფაქტები ისეთი ხასიათისა იყო, რომ საჭიროდ ვცანით მათი შემოწმება სხვა და სხვა წყაროს მიხედვით. შეკრეფილმა ცნობებმა დაგვარწმუნეს, რომ ბ-ნ Cardinal-ის მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილის გადამახინჯებაა. რედაქცია ეცდება, სულ მოკლე ხანში, ამ საქმის შესახებ მართალი სიტყვა მიაწოდოს თვის მკითხველებს.

---

## დეპეშები

**პეტროგრადი,** 23 აგვისტ. რადგანაც სტამბოლში ქვანახშირის შეტანა ოსმალებმა ვერ მოახერხეს იალქნიან გემების საშუალებით, ეხლა სხვა საშუალებას მიმართეს: დატვირთეს ოთხი დიდი გემი და „ჰამიდიეს“ წინამძღვრობით გაგზავნეს ბოსფორისკენ. ამ ქარავანს თან ახლდა ორი ახალი ტიპის ნაღმოსანი. 23 აგვისტოს დილის 7 საათზე რუსების ნაღმოსნები „პრონზიტელნი“ და „ბასტრი“ შეხვდა ამ ქარავანს და გაიმართა ბრძოლა. $2^1/_2$ საათის შემდეგ „ჰამიდიე“ იძულებული გახდა ბოსფორისკენ გაქცეულიყო. რუსების ნაღმოსნები დაედევნენ, მაგრამ ვერას გახდენ, რადგანაც „ჰამიდიემ“ მოასწრო ბოსფორს მისვლა; რუსის ნაღმოსნები უკან დაბრუნდნენ და ჩასძირეს ქვანახშირით დატვირთული გემები.

**ლონდონი,** 23 აგვ. დანიელთა ხომალდი „ფრეი“ დაილუპა.

**პარიზი,** 23 აგვ. ოფიციალი ცნობა მოვიდა, რომ ცუდი მოსავლის გამო 2 ენკენისთვიდან კარტოფილისა და მწვანილის გატანა აიკრძალებაო.

**ლონდონი,** 24 აგვ. ინგლისური გემი „ციმბელინი“ დაილუპა. 31 კაცი გადასხეს ნაპირზე. 6 დაიღუპა. ექვსიც დაჭრილია.

**პარიზი,** 23 ავგისტო. ხელმწიფე იმპერატორის სიტყვის გამო, რომელიც საზამთრო სასახლეში იყო წარმოთქმული, გაზეთი „ტანი“ სწერს. ხელმწიფის სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ყველა სადიპლომატიო წრეში. ეგ სიტყვა უზენაესი, გადაჭრითი პასუხია გერმანთა ცდაზე, რომ რუსეთს სეპარატიულად ზავით შეეკრას. ეხლა, როდესაც გერმანთის აგენტები ცდილობენ შეერთებულ შტატებში შექმნან მთელი მოძრაობა კონფლიქტის სასწრაფო ლიკვიდაციის მოსახდენად, ხელმწიფე იმპერატორის სიტყვა დაარწმუნებს ავსტრია-გერმანიას, რომ ყოველი ნაბიჯი ნაჩქარევი და უმტკიცი ზავის შესაკრავად უნაყოფო იქნება.

**პეტროგრადი,** 24 ავგისტო. გერმანეთიდან ჩამოიყვანეს მეცხრე პარტია რუს ინვალიდებისა რიცხვით 248 ჯარისკაცი.

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა კოვალევსკიმ მოხსენება დაურიგა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს; მოხსენების საგანია ომის კანონების დარღვევა ავსტრია-გერმანიის ჯარების მიერ. კოვალევსკი აღნიშნავს, გერმანები ისე უცქერიან ომს, როგორც დაუსრულებელ და უმოწყალო ჟლეტას მტრის საბოლოო განადგურებამდე, ყოველგვარი ღონისძიებითა და საშუალებით; ამიტომაც რუსეთს სრული თავისუფლება აქვს განადგურების ყოველგვარი იარაღი იხმაროს მტრის წინააღმდეგ, თავის ტერიტორიისა და ხალხის დასაცავად და ეს მანამდე, ვიდრე გერმანეთი ხელს არ აიღებს ამგვარ საშუალებებზე. ამასთან სამხედრო უწყება ვალდებულია ჯარს მიაწოდოს ბრძოლის ყოველგვარი საშუალება, რომელსაც იცნობს დღევანდელი ტეხნიკა მტრის დამარცხებისა.

**ლონდონი,** 24 აგვ. დღეს, დილის 7 საათზედ ჩაიძირა გემი „გესპერინი“:

**პეტროგრადი.** გამოქვეყნდა უმაღლესად დამტკიცებული კანონი შესახებ სახელმწიფო ბანკის საემისიო უფლების გაფართოვებისა. გამოქვეყნდა აგრეთვე ფინანსთა მინისტრის განკარგულება შესახებ სახელმწიფო ხაზინის ოთხ-პროცენტიანი ბილეთების გამოცემისა, ას-ას მანეთიან ბილეთების სახით სულ რაოდენობით 25 მილიონი მანეთი.

**სტოკჰოლმი,** 24 ავგისტოს თარიღით ბერლინიდან იუწყებიან: აკრძალეს მთელს გერმანიაში მარტო წმინდა რძითა და ნაღებით ნამცხვების ცხობა. აკრძალეს ნაღების გაყიდვა. ამ აკრძალვის დამრღვევს გადახდება ჯარიმად 1500 მარკა ანუ სამი თვით ციხე მიესჯება. აღმოსავლეთის ფრონტზე ჯარისკაცებისთვის საჩუქრების გაგზავნა შესამჩნევად შემცირდა, რადგანაც მთავრობის განცხადების თანახმად, რუსეთის გზების ცუდი მდგომარეობის გამო, სამხედრო ფოსტა ვერ ახერხებს დანიშნულების ადგილამდე მიაღწიოს. შეიძლება სრულიად შესწყვიტონ აღმოსავლეთის ფრონტზე საჩუქრებისა და სხვა ამანათების გზავნა.

**მოსკოვი,** 24 ავგისტო. ქალაქის უფროსმა განკარგულება გამოსცა მოსკოვში ხურდა ფულის შესყიდვისა და იქიდან გარედ გაზიდვის შესახებ. აკრძალულია ხურდა ფულის გაყიდვა მის ნომინალურ ღირებულებაზე მეტ ფასში. მხოლოდ მანეთამდე შეიძლება ხურდა ფულის გატანა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

ს. ბაკურციხეში დავკარგე

## დ ა ვ კ ა რ გ ე
## შ ა ვ ი პ ო რ ტ ფ ე ლ ი,

რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიჟუნია“, მოთხრობა „ტყვე“, მერეჟკოვსკის „ლეონარდო და-ვინჩი“-ს თარგმანი (პირველი წიგნის), ისტორიულ რომანის „ანდერძი“-ს მასალები და სხვ. წვრილმანი წერილები და საარტისტო მოწმობები.

არავისათვის ეს ნაწერები და ნაშრომი გამოსადეგი არ არის, ჩემთვის კი ძვირფასია.

ამიტომ ვთხოვ **კახეთის სამამასახლისოებს** ყურადღება იქონიონ და ხალხს გამოუცხადონ, რომ მპოვნელი ჩემგან მადლობასთან ერთად შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს.

ნახული უნდა წარუდგინონ ს. ბაკურციხეში ექიმ ანდრონიკაშვილს.

**შალვა დადიანი.**

---

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა
**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა
**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| „ საგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

---


## თევზის მრეწველნი
# ძმ. მესხელოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.

## განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

ელექტრომბეჭ დავი სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.